ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 531

7 ოქტომბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს" (ს/ნ. 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-567-6-25951 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს" (ს/ნ. 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-567-6-25951 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 1-ლი სექტემბრის №22.1304.1450 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს" (ს/ნ. 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-567-6-25951 ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მწვანე ნარგავების შენარჩუნება," იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შპს „სოლუმ დეველოპმენტი" (ს/ნ. 405148086) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 39 681 (ოცდაცხრამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაერთი) ლარის გადახდას.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე